# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 195

„22" ივლისი 2016 წ

ქ. თბილისი

**„შპს „მომავლის სკოლასთან" 2001 წლის პირველ ნოემბერს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციის №1/4313) ცვლილებების შეტანისა და წლიური საიჯარო ქირის, საიჯარო პირობების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 15 ნოემბრის №31.19.1121 დადგენილებით განსაზღვრული წლიური საიჯარო ქირის შეცვლის/შემცირების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, $127^2$ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეიცვალოს/შემცირდეს „შპს „მომავლის სკოლასთან" (ს/კ №211356272) 2001 წლის პირველ ნოემბერს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციის №1/4313) ცვლილებების შეტანისა და წლიური საიჯარო ქირის, საიჯარო პირობების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 15 ნოემბრის №31.19.1121 დადგენილების მე-2 პუნქტით და ამავე დადგენილების დანართით განსაზღვრული საიჯარო პირობების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საიჯარო ქირა - 124649 (ას ოცდაოთხი ათას ექვსას ორმოცდაცხრა) ლარი, 2015 წლის 25 თებერვლიდან - მხარეთა შორის საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე, მაგრამ არაუგვიანეს „შპს „მომავლის სკოლასთან" 2001 წლის პირველ ნოემბერს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციის №1/4313) ცვლილებების შეტანისა და წლიური საიჯარო ქირის, საიჯარო პირობების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 15 ნოემბრის №31.19.1121 დადგენილების საიჯარო პირობების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული და მხარეთა შორის საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 23 დეკემბრის №51.29.1471

განკარგულების გამოცემიდან 18 (თვრამეტი) თვის ვადით, კერძოდ, საიჯარო პირობების 3.1 პუნქტს დაემატოს ,,3.1¹ პუნქტი“

„3.1¹ საიჯარო პირობების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საიჯარო ქირის წლიური ოდენობა, 2015 წლის 25 თებერვლიდან - მხარეთა შორის საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე, მაგრამ არაუგვიანეს „შპს „მომავლის სკოლასთან“ 2001 წლის პირველ ნოემბერს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში (რეესტრში რეგისტრაციის №1/4313) ცვლილებების შეტანისა და წლიური საიჯარო ქირის, საიჯარო პირობების ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 15 ნოემბრის N31.19.1121 დადგენილების საიჯარო პირობების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული და მხარეთა შორის საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიღების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 23 დეკემბრის №51.29.1471 განკარგულების გამოცემიდან 18 (თვრამეტი) თვის ვადაში, შეადგენს სიმბოლურ თანხას - წელიწადში 1 (ერთი) ლარს“.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი